ქალი და რეალობა
WOMAN AND REALITY

საინფორმაციო ფურცელი

N2

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ქალთა უფლებების დაცვის მოძრაობებში

ნომერში იხილავთ

მოძრაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების უფლებებისათვის

როდის დაიწყო მოძრაობა?

რა ფორმით იყვნენ შშმ ქალები ჩართული მოძრაობაში?

ვინ შეიტანა განსაკუთრებული წვლილი მოძრაობის განვითარებაში?

რა საქმიანობას ეწევიან შშმ ქალები დღეს?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები დიდი ხანია წარმოადგენენ ფემინისტური და შეზღუდული შესაძლებლობის აქტივიზმის საყრდენ ძალას.
ამ ფოტოზე, ბეკი რეზერფორდი აკვირდება ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც, ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ფარგლებში, იბრძვიან თანაბარი მისაწვდომობისათვის.

ფოტო: როზა მეი ბილინგჰერსტი

როდის დაიწყეს შშმ ქალებმა ორგანიზება?

შშმ ქალები ყოველთვის ჩართულნი იყვნენ ფემინიზმისა და ქალთა უფლებების დაცვის აქტივიზმში. მე-20 საუკუნის დასაწყისში როზა მეი ბილინგჰერსტმა სახელი გაითქვა, როგორც „ინვალიდმა სუფრაჟეტმა“. ბავშვობაში გადატანილი პოლიომიელიტის გამო, იგი გადაადგილდებოდა სამ ბორბლიანი ველოსიპედით და ასე ღებულობდა მონაწილეობას არჩევნებში ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მოპოვების მიზნით გამართულ მსვლელობებსა და დემონსტრაციებში. 1910 წელს ბილინგჰერსტმა დააარსა ქალთა სოციალური და პოლიტიკური კავშირი, რომელიც წარმოადგენდა ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის მებრძოლი ორგანიზაციის - გრინვიჩის ფილიალს. მოგვიანებით იგი დააპატიმრეს და ჰოლოვეის ციხეში იხდიდა სასჯელს. აქ მან, ასობით სხვა სუფრაჟეტის მსგავსად, გამოაცხადა შიმშილობა, რის გამოც მას აიძულებდნენ ძალდატანების ქვეშ მიეღო საკვები.

რა ფორმით იყვნენ შშმ ქალები ჩართულნი ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობაში?

შშმ ქალებმა შეზღუდული შესაძლებლობისა და ქალთა საკითხების ირგვლივ გაერთიანება 1970-იანი წლებიდან დაიწყეს. თუმცა, მათი აქტივიზმისა და ბრძოლის შესახებ ცნობები იშვიათად თუ გვხვდება ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველ ისტორიულ ქრონიკებში.

მოძრაობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ჩართულობის საშუალებები ხშირად განსხვავდებოდა იმ სტერეოტიპული წარმოდგენებისაგან, რომლებიც არსებობდა იმ პერიოდის ფემინისტური აქტივიზმის შესახებ. მაგალითად, მათი ბევრი კამპანია ფოკუსირებული იყო იმაზე, რომ არსებული ფემინისტური რესურსები და აქტივობები ფიზიკურად უფრო ხელმისაწვდომი გაეხადა. აქედან გამომდინარე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ გაწეული შრომა კიდევ უფრო დასაფასებელია იმ კუთხით, რომ საშუალებას გვაძლევს უფრო ფართოდ გავიაზროთ თუ რამდენად ბევრი ფორმა შეიძლება გააჩნდეს ფემინისტურ აქტივიზმს.

ჟურნალი Spare Rib (“თავისუფალი ნეკნი“) მრავალი წლის განმავლობაში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფემინისტური ჟურნალი იყო ბრიტანეთში; ის გამოდიოდა 1972 წლიდან 1993 წლამდე. 1979 წელს ჟურნალში გამოქვეყნდა პირველი სტატია შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ და მას შემდეგ შშმ ქალები იყენებდნენ ჟურნალს, რათა მიეპყროთ ხალხის ყურადღება ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხისადმი. სადისკუსიო თემები მოიცავდა ყველაფერს, - დაწყებული სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციით და დამთავრებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა სექსუალობისა და რეპროდუქციული უფლებების შესახებ არსებული სტიგმებით. ცნობიერების ამაღლების შედეგად, პოპულარულმა ფემინისტურმა წიგნების მაღაზიებმა, როგორიცაა Sisterwrite, დაიწყეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების მიერ შექმნილი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისათვის განკუთვნილი ლიტერატურით თაროების შევსება.

"Is your partner a nurse-cum-nanny?" it's a question often asked of Julie Minmack, who writes here about

Physical Relationships and the Disabled Woman

ჟურნალი „Spare Rib“ გამოცემა 086

„ფიზიკური ურთიერთობები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი“, ავტორი ჯული მიმაკი.

ძირითადი ფემინისტური სივრცეების მიღმა, შშმ ქალები იყვნენ მრავალი ჯგუფისა და პროექტის წამომწყებნი. მაგალითად, „დები შეზღუდული შესაძლებლობის წინააღმდეგ“ (SAD) ჩამოყალიბდა 1982 წელს და მიზნად ისახავდა ფემინიზმისა და შეზღუდული შესაძლებლობის ურთიერთობის განხილვასა და შესწავლას. SAD თავიდანვე აქტიურად ცდილობდა შეეცვალა საზოგადოებაში არსებული აღქმა შშმ ქალების თაობაზე და თავად შშმ ქალების მდგომარეობა. მიუხედავად წევრების სიმცირისა, SAD-ში ჩართული ქალები მონაწილეობას ღებულობდნენ უშუალო აქტივობებში, იქნებოდა ეს მარშები თუ დემონსტრაციები, როგორიცაა 1982 წელს ქალთა დასაქმების უფლებისადმი მიძღვნილი მარში. მათ, ასევე, ორგანიზება გაუწიეს „ადგილების საინფორმაციო ბანკის“ შექმნას, - პროექტს, რომელიც უზრუნველყოფდა ინფორმაციის შეგროვებას ეტლით მოსარგებლეთათვის ადაპტირებული შენობების (მაგალითად, საფეხურების სიმაღლეების, კარის ჩარჩოს სიგანისა და სხვ.) შესახებ. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის მოპოვების მიზნით, მოხდა იმ ქალების წახალისებაც, რომლებიც არ წარმოადგენდნენ შშმ პირებს, რათ მათაც შეეტანათ საკუთარი წვლილი ამ მნიშვნელოვან საქმეში. რაც შეეხება დეტალებს, თუ რა გზით უნდა მოეხერხებინათ ბანკში ინფორმაციის მიწოდება, ისინი ვრცელდებოდა Speer Rib-ისა და სხვა ჟურნალების მეშვეობით.

SAD-ის ალბათ ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ინტერვენცია ფემინისტურ პოლიტიკაში იყო ლესბოსელების სექსისა და სექსუალობის შესახებ 1983 წელს გამართული კონფერენციის ჩაშლა. SAD-ის წევრებმა ბოიკოტი გამოუცხადეს ღონისძიებას და მოახდინეს იმ ადგილის პიკეტირება, სადაც კონფერენცია იმართებოდა. ყოველივე ამის მიზეზი კი გახლდათ ის ფაქტი, რომ ადგილი არა ადაპტირებული იყო შშმ ქალებისთვის. კონფერენციის მეორე დღისათვის, მათ შეადგინეს და გაავრცელეს პლაკატები, სადაც დეტალურად იყო აღწერილი მათი მოთხოვნა მისაწვდომობაზე, რასაც კონფერენციაზე დამსწრე ბევრმა არა-შშმ ქალმა დაუჭირა მხარი.

SAD-ის წევრი ზოგიერთი ქალი, ასევე, ჩართული იყო სხვა კოლექტივშიც, სახელწოდებით ფემინისტური აუდიო წიგნები (FAB). 1983 წელს FAB-მა, უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ქალებისთვის, დაიწყო ფემინისტური ხასიათის ლიტერატურული ნაწარმოებების ჩაწერა ფირზე. რამდენიმე წლის შემდეგ, ლონდონის დიდი საბჭოს მიერ დაფინანსების შეწყვეტის გამო, მათი საქმიანობა შეჩერდა. თუმცა, 2000 წელს კოლექტივი კვლავ შეიკრიბა და დღესაც აგრძელებს ფუნქციონირებას მოხალისეობრივ საწყისებზე. კირსტენ ჰერნმა, SAD-ისა და FAB-ის დამფუძნებელმა, 2012 წელს ჩაწერილ ინტერვიუში - *„დების კავშირი და შემდგომი პერიოდი: ქალთა განმათავისუფლებელი ზეპირსიტყვიერი ისტორიის პროექტი“* - იმსჯელა FAB-ის წარმოშობისა და იმ სერვისების შესახებ, რომელსაც იგი დღესაც ახორციელებს.

შშმ ქალთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სათემო ორგანიზაცია გახლდათ მხარდაჭერის ჯგუფი Gemma, რომლის სახელწოდებაც უკავშირდება ლათინურ სიტყვებს „კვირტი“ და „შტო“ და წარმოადგენს ზრდისა და განვითარების სიმბოლოს. Gemma დაარსდა 1976 წელს, რამდენიმე ქალის მიერ, რომელთა პირდაპირ მიზანსაც შშმ ლესბოსელებისა და ბისექსუალების იზოლაციასთან ბრძოლა წარმოადგენდა.

ჯგუფი ორგანიზებას უწევდა რეგულარულ შეხვედრებსა და მრავალ სხვა აქტივობას - ყველაფერს დაწყებული ვეგეტარიანული პიკნიკებით თუ ლანჩებით და დამთავრებული ცურვის გაკვეთილებით თუ ეტლით მოსარგებლეთათვის განკუთვნილი დისკოთეკებით. Gemma, ასევე, გამოსცემდა საკუთარ რესურსებს და მათი მეშვეობით რეაგირებას ახდენდა ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ გამოცემულ ფემინისტურ ლიტერატურაზე, რომლის

დიდი ნაწილიც არ პასუხობდა შშმ ქალების საკითხებს. Gemma ამზადებდა საინფორმაციო ბუკლეტებს ლონდონში მცხოვრები შშმ ქალებისთვის და ასევე, მსუბუქ და კრეატიულ ნაშრომებს, როგორიც იყო მაგალითად, *Gemma's Gay Little Cook Book („გემას პატარა კულინარიული სახელმძღვანელო ჰომოსექსუალებისათვის")*. Gemma-ს უკვდავი მონაპოვარი გახლავთ ჯგუფის მიერ საკუთარი წევრებისთვის ჩამოყალიბებული პენ-ფრენდების[1] ქსელი, რომელიც შშმ ლესბოსელბსა და ბისექსუალებს აძლევდა ერთმანეთთან დაკავშირებისა და კომუნიკაციის საშუალებას და ამ ფორმით ხელს უწყობდა ცნობიერების ამაღლებას. ქსელი, ასევე, საშუალებას აძლევდა Gemma-ს წევრებს უფრო სოლიდარულები გამხდარიყვნენ ერთმანეთის მიმართ და ერთად ებრძოლათ როგორც გენდერის, ისე შეზღუდული შესაძლებლობის გამო, საზოგადოებაში ფესვგადგმული სტიგმების წინააღმდეგ.

როგორ იყვნენ შშმ ქალები ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მოძრაობაში?

შშმ პირთა მოძრაობა ვითარდებოდა ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად, რის გამოც მრავალი ათწლეულის მანძილზე შშმ ქალები ერთდროულად ჩართული იყვნენ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის, ისე ფემინისტური პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში. ჩვენ ვხედავთ სურათს ურთიერთმკვეთი და ურთიერთგადამფარველი განმათავისუფლებელი მოძრაობებისა, რომლებიც 1970-იან, 1980-იან და 1990-იან წლებში ბრიტანეთში ვითარდებოდა. უნდა ვაღიაროთ, რომ ბრიტანეთში შშმ პირთა პირველი ზეწოლის ჯგუფის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ორი ქალი. 1965 წელს, მეგან დიუ ბუასონმა და ბერიტ თორნბერიმ, რომლებსაც აწუხებდათ გაფანტული სკლეროზი, დააარსეს შრომის უუნარობის შემოსავლების ჯგუფი და მისი ადრეული კამპანიის დიდი ნაწილი გენდერულ თანასწორობას დაუთმეს. გარდა ამისა, SAD-ისა და Gemma-ს წევრები რეგულარულად მონაწილეობდნენ ბრიტანეთის საბჭოს შშმ პირთა ორგანიზაციების შეხვედრებში. ეს გახლდათ ეროვნული ფორუმი ყველა იმ ორგანიზაციისა, რომელსაც მართავდნენ შშმ პირები ან რომელთა საქმიანობაც შშმ პირებისკენ იყო მიმართული და მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის 1995 წელს შეზღუდული შესაძლებლობის დისკრიმინაციის აქტის მიღებაში. ამრიგად, შშმ ქალების როლი თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც შშმ პირთა უფლებების დაცვის აქტივიზმის, ისე ბრიტანეთში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების ისტორიაში.

რას საქმიანობენ დღეს-დღეობით აქტივისტი შშმ ქალები?

შშმ ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულა და ამ კუთხით მნიშვნელოვანი როლი სოციალურ მედიას ეკისრება, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში ორგანიზებისა და აქტივიზმის განუყრელ ინსტრუმენტად იქცა. კერძოდ, Twitter-ი, რომელსაც საუბრების გასამართად ფართოდ იყენებენ შშმ აქტივისტები, განსაკუთრებით ქალები და არაბინარული ადამიანები, რათა წინა პლანზე წამოსწიონ ფემინიზმის ფარგლებს შიგნით არსებული შეზღუდული შესაძლებლობის პოლიტიკა. ჯერ კიდევ ფუნქციონირებს ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთებით შექმნილი არაერთი ორგანიზაცია, მაგალითად Gemma, რომელიც ახლა უკვე არსებობას განაგრძობს შშმ ქალების მიერ მართულ უამრავ სხვა ჯგუფთან და პროექტთან ერთად. ასეთი ჯგუფების რიცხვს განეკუთვნებიან, მაგალითად, ექსპერიმენტული ჯგუფი „ფრიდას

[1] pen-friend - ადამიანი, რომელსაც პირადად არ შეხვედრიხარ, მაგრამ გაქვს მიმოწერა და მეგობრობ წერილობითი ფორმით

დები“; მრავალრასობრივი თვითდახმარების ჯგუფი WinVisible; და YouTube-ის ვლოგერები - Triple Cripples. ყველა ეს ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს შშმ ქალების ყოველდღიურ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და იმ გამოწვევებზე, რომლებსაც ისინი ჯერ კიდევ აწყდებიან ამ დისკრიმინაციულ სამყაროში.

წყარო:
https://www.bl.uk/womens-rights/articles/feminism-and-disability-rights-activism

წინამდებარე საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია
ორგანიზაცია „ქალი და რეალობა“-ს მიერ.
მისი მიზანია საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს გააცნოს
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა აქტივიზმის საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკა.
საინფორმაციო ფურცელის მომზადება მხარდაჭერილია პროექტის „ შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე ქალები სრული და ეფექტური ჩართულობისა და გენდერული
თანასწორობისთვის“ ფარგლებში.

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ქალთა ფონდი საქართველოში

ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. #315 +995 551 004204 women@wandr.ge wandr.ge